

საქართველოს კანონი

საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის წევრის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი განისაზღვროს 2000 ლარის ოდენობით. (28.12.2007 N5666)

მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ (1996 წლის 21 თებერვლის N116) საქართველოს კანონი.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2005 წლის 25 მარტი.
N 1212 - II